

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს  
სხდომის  
ოქმი №15

ქ. ლაგოდეხი

2019 წლის 31 ივლისი, 14:00 საათი  
სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე - კარლო ჯამბურია.  
სხდომას ესწრებოდნენ:  
ბიუროს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

-1-

**მოისმინეს:**

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,

/მომხს: ნ. კუპრაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 12, წინააღმდეგი-0),

**გადაწყვიტეს:**

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

-2-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2 კვარტლის ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

/მომხს: ნ. კუპრაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 12, წინააღმდეგი-0),

**გადაწყვიტეს:**

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

-3-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

(მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს“.).

/მომხს:ჯ. კობერიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 12, წინააღმდეგი-0),

**გადაწყვიტეს:**

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

-4-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

(მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ. ვარდისუბანში მდებარე, 50 604 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი - ს/კ 54.07.51.055) მიწის ნაკვეთის, სოფ.სვიდეხის მოსახლეობისათვის

სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ათი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, ოჯარით გაცემის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 1440(ათას ოთხას ორმოცი) ლარი).

/მომხს:ჯ. კობერიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 12, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

-5-

მოისმინეს:


ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.  
(მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - გარე განათების (50 ვატი) 1300 ცალი ლამპიონი, 1300 ცალი მხვრეტავი ჩამჭერი და 32 ცალი (50 ვატი) პროექტორის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“).

/მომხს:ჯ. კობერიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 12, წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს:

მიეცეს რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია